პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის / აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის). Georgian language preparation educational program (for Abkhazian, Azerbaijan, Armenian and Osetian students.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	-
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობა - 60 კრედიტი 60 ESTC კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა. 30 ESTC კრედიტს გადიან პირველ სემესტრში, ხოლო 30 ESTC კრედიტს - მეორე სემესტრში. პროგრამა შედგება 27 სასწავლო კურსის სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გაივლიან ექვს 5-კრედიტიან სასწავლო კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ვერსიად: პირველი და მეორე ბლოკის კურსები. ბლოკებზე გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე - სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკს გაივლის სტუდენტი. პირველ ბლოკზე სწავლება ხორციელდება საკონტაქტო საათების დამატებით (თითოეული კურსი 5-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება; კურსი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას მეორე ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება (პირველი ბლოკის სტუდენტებს, ამასთანავე, ტუტორიუმის პროგრამის ფარგლებში გაეწევათ დახმარება, რომელიც უკვე ფუნქციონირებს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე გაეროს ასოციაციის პროექტის PITA ფარგლებში). მეორე სემესტრში 5 სავალდებულო სასწავლო კურსია, რომელიც სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას ემსახურება (კითხვა, წერა, მოსმენა-ლაპარაკი, ლექსიკა და გრამატიკა, ორთოეპია-მართლწერა); დამატებით, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, რომელიც

	წარმოდგენილია კურსის „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ სახით და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში). ამავე სემესტრში პილოტირების ეტაპიდან დანერგვის ეტაპზე გადადის ინოვაციური მიდგომა კითხვის ენობრივი უნარების მიმართულებით - შემუშავებულია არჩევითი დარგობრივი კურსები (10 კურსი); ეს არჩევითი დარგობრივი კურსები შეიქმნა სტუდენტთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური ენობრივი კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა (ფილოლოგია, ისტორია, მათემატიკა, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი, მედიცინა და სხვ.) ნიშანდობლივი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი კახა გაბუნია.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აფხაზურად / აზერბაიჯანულად / სომხურად / ოსურად) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. ბლოკის შერჩევა ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ აბიტურიენტმა, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, შეძლოს: • წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; • სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); • ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე. წ. “სწავლის სწავლის” კომპონენტი).

	• ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, აღქმა, დაფასება და პატივისცემა; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ ამოცანათა გადასაჭრელად, მისაღწევია შემდეგი ენობრივი კომპეტენციები: • გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) წესების გამოყენებით, ლექსიკური მარაგის გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნა და ქართული ენის ნორმების შესატყვისად აგებული კონსტრუქციების შედგენა (ლინგვისტური კომპეტენცია); • ენობრივი ფორმების სიტუაციის შესაბამისად (კონტექსტის – ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) შერჩევა და გამოყენება (სოციოლინგვისტური კომპეტენცია); • ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გაგება და გააზრება (დისკურსული კომპეტენცია); • მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში (ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით) თავისუფლად ორიენტირება: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლება და გამოყენება (სოციოკულტურული კომპეტენცია); • მოცემულ სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვითგამოხატვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი უნარების დაუფლება და გამოყენება (სოციალური კომპეტენცია); • ვერბალური და არავერბალური საშუალებებით, ენის შეზღუდულად ფლობის პირობებში, არსებული ხარვეზის გადაფარვა (სტრატეგიული კომპეტენცია).
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	1. აქვს საბაზისო ცოდნა ზოგადად ქართულ ენასა და მის მნიშვნელობაზე. 2. ფლობს ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგს. 3. იაზრებს ქართული ენის სისტემის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედებას. 4. აცნობიერებს ენობრივი კონტაქტების (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) ძირითად ასპექტებს.
უნარები	5. პრაქტიკულად იყენებს ქართულ ენას საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის.

	6. ფლობს ქართულ ენაზე საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევებს. 7. აქვს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის (დარგობრივი მიმართულებების მიხედვით) ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი. 8. იყენებს ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	9. აქვს საკუთარი სასწავლო საჭიროებების ადეკვატურად შეფასებისა და დაგეგმვის უნარი. 10. შეუძლია ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის / თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; 11. ისმენს განსხვავებულ მოსაზრებებს და პატივს სცემს მათ; აყალიბებს საკუთარ პოზიციას ეთიკის ნორმების დაცვით; 12. აღიქვამს კულტურულ განსხვავებულობას და ტოლერანტულია სხვა კულტურათა მიმართ; პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს.
სწავლების მეთოდები	მეორე ენის სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები და სტრატეგიები გამოირჩევა მრავალფეროვნებით; გათვალისწინებულია ყველა იმ აპრობირებული მეთოდისა და მიდგომების გამოყენება, რაც იძლევა ეფექტურ შედეგს ენობრივი კომპეტენციების ამაღლების თვალსაზრისით: • ლექციები თვალსაჩინოებებისა (სქემები და სხვა გრაფიკული საშუალებები, ბანერები) და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით: დისტანციური სწავლება (MOODLE-ის საუნივერსიტეტო პლატფორმაზე დაფუძნებული), აუდიომაგნიტოფონები, ფილმების ჩვენება-განხილვა, კომპიუტერული თამაშები) • პრაქტიკული მეცადინეობები (სემინარები):მცირე ჯგუფებსა და წყვილებში მუშაობა; პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება; მოდელირებული სიტუაციების განხილვა; როლური და სიტუაციური თამაშები; • ზეპირი პრეზენტაციები; • პორტფოლიოს წარმოება. ***შენიშვნა: თითოეულ სილაბუსს თან ახლავს კონკრეტული კურსისთვის შესაბამისი მეთოდების, სტრატეგიებისა და***

	ხერხებისა დეტალური აღწერა. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის და სხვ. ფორმატში.
შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულაა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასება განხორციელდება შემდეგ კომპონენტებზე დაყრდნობით:

	• სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა; • საშინაო დავალებების შესრულება; • საკონტროლო ტესტები (დახურული და ღია კითხვებით); • ზეპირი პრეზენტაცია; • კოლოკვიუმი; • შეფასების მეთოდი / მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს; შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები	წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს სწავლების მომდევნო საფეხურისთვის (საბაკალავრო პროგრამისთვის) სტუდენტის მომზადებას.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით. პროგრამა განკუთვნილია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა** პროგრამა მოქმედებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სალექციო პროცესი მიმდინარეობს თსუ-ს 1 (ჭავჭავაძის გამზ.# 1), მე-5 და მე-7 (ქეთევან წამებულის გამზ.

	#55) კორპუსებში. თსუ მე-7 კორპუსში „ტემპუსის“ პროექტს „DIMTEGU“-ს ფარგლებში აღიჭურვა სპეციალური კომპიუტერული კლასი; 2017 წლიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს კორპუსის კაპიტალური რემონტი, რომლის დასრულებაც ივარაუდება 2021 წლისთვის. პროგრამის მიზნებს ემსახურება თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, კომპიუტერული რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, საკითხავი მასალის ნაწილი წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით, ე.წ. „რიდერების“ სახით. პროგრამის ადმინისტრაციაში ყველა კომპიუტერზე, აგრეთვე კომპიუტერულ ცენტრში (აუდიტორია # 213) ატვირთულია მასალა და მისით სარგებლობა (გადაწერა, ამობეჭდვა) ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. მიმდინარე კურსების ნაწილი განთავსებულია თსუ MOODLE-ის პლატფორმაზე და მათზე წვდომა შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც გაივლის რეგისტრაციის შესაბამის პროცედურებს. საკითხავი მასალა ლექტორებს ურიგდებათ ამობეჭდილი სახით. დამხმარე აუდიო და ვიზუალური რესურსების მოძიება და გამოყენება აბიტურიენტებს შეეძლებათ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კომპიუტერულ ცენტრში. პროგრამის განხორციელება ივარაუდება არაუმეტეს 15 კაციანი ჯგუფების დაკომპლექტებით. **პროგრამის ადამიანური რესურსი:** პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კახა გაბუნია, მერი ნიკოლაიშვილი, ნინო შარაშენიძე, გიული შაბაშვილი, მერაბ ბაბუხადია, ჭაბუკი ქირია, ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი, მზია გაბედავა, თეა ქამუშაძე, მზია ხვედელიძე, ილია ჭრელაშვილი, შალვა ტაბატაძე, მარიამ მანჯგალაძე, ნანა სირაძე, ლია ბაკურაძე, მურად კემულარია, ზოია მხითარიანი, ანა თოდუა, რუსუდან ჭუმბურიძე, ვიოლა კალანდაძე, ნათია რევიშვილი, ხათუნა კარტოზია და სხვა (იხ. დანართი № 3, პროგრამაში ჩართულ პირთა CV-ები). პროგრამის სპეციფიკიდან, პრაქტიკული მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

	ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალზე მეტად, მიზანშეწონილია მოწვეულ პრაქტიკოს პედაგოგ-მასწავლებელთა შერჩევა. შერჩევა ხორციელდება მათი განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და პროფილური აკადემიური აქტივობების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, ფაკულტეტის ადმინისტრაციის ჩართულობით. ***იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.***
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სწავლის დაწყება პირველი სემესტრიდანვე არის სავადებულო. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრება 15–ით; პირველ სემესტრში ჯგუფების ფორმირება ხორციელდება პრეტესტის საფუძველზე, რის შედეგადაც განისაზღვრება სწავლების ბლოკი (პირველი ან მეორე), ხოლო მეორე სემესტრის დაწყებამდე ტარდება გამოკითხვა და სტუდენტების მიერ შერჩეული დარგობრივი მიმართულების (ფაკულტეტის) მიხედვით განისაზღვრება მათი გადანაწილება დარგობრივ ჯგუფებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამის დარგში (ფილოლოგია) დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლოა მოწვეულ იქნეს სათანადო გამოცდილების მქონე დარგობრივი მიმართულების (სამართალი, ბიზნესი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვა) სპეციალისტი.